



თარგმნა დანაკარგების გარეშე

*შვიდ პუნქტიანი სახელმძღვანელო მთარგმნელობითი მომსახურების
შეკვეთაზე*

●
Delta Translation Group

●
www.delta-group.ge, www.iword.ge

●
2021

●
კორპორაციული გამოცემა

წინასიტყვაობა	3
1. კერძო პირი თუ კომპანია ?.....	4
როგორ უზრუნველყოფენ წარმატებული მთარგმნელობითი ორგანიზაციები ტერმინების ერთიანობას, სისწორეს და უკეთეს ხარისხს ?.....	5
როგორ ახერხებენ წარმატებული მთარგმნელობითი ორგანიზაციები კონკურენტული ფასების შემოთავაზებას კერძო პირებთან შედარებით ?	6
2. ყველა თარგმანი ერთი და იგივე როდია	6
2.1 ოფიციალური კვალიფიკაცია	7
2.2 გამოცდილება.....	7
2.3 მშობლიური ენა	8
3. ხარისხიც ისევე განსხვავდება, როგორც ფასები	9
როგორია დელტას მთარგმნელობით ჯგუფში საბოლოო პროდუქტის მიღების პროცესი ?.....	10
3.1 სიტყვათა რაოდენობა პირველად წყაროში	10
3.2 ბოლო ვადა	11
3.3 ტექნიკური სირთულეები და დოკუმენტის ფორმატი	13
3.4 ენათა წყვილები	13
4. მთარგმნელი და თარგმანი სხვადასხვა ხილია	14
5. ცუდი წყარო ცუდი შედეგი	15
6. მანქანაზე შესრულებულ თარგმანს თავისი ადგილი აქვს	16
6.1 CAT-საშუალებების მუშაობის პრინციპი	18
6.2 CAT-საშუალებების გამოყენებით თარგმანის უპირატესობები.....	19
7. საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებსაც მთარგმნელობითი ორგანიზაციები უნდა აკმაყოფილებდნენ	21
ბოლოსიტყვა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები.....	22

წინასიტყვაობა

წარმოგიდგენთ სახელმძღვანელოს, რომელშიც მიზნად ვისახავთ, გაგაცნოთ მთარგმნელობითი მომსახურების სფერო და მოგცეთ რჩევები თქვენთვის საჭირო მთარგმნელობითი მომსახურების არჩევაზე.

გამოცემა მომზადებულია “Delta Translation Group”-ის მიერ. იგი ეხმაურება იმ მომხმარებლების შეკითხვებს, შეთავაზებებსა და მოსაზრებებს, რომლებმაც ბოლო წლების მანძილზე ჩვენთან მოიყარა თავი.

ჩვენი, როგორც პროფესიული ნიშნით გაერთიანებული, მთარგმნელობითი ორგანიზაციის მისიაა ხელი შევუწყოთ მთარგმნელობითი მომსახურების დარგის განვითარებას საქართველოში თანამედროვე ტექნოლოგიური და ლექსიკოგრაფიული მეთოდების დანერგვის გზით.

ჩვენი ამოცანაა მომხმარებლებს შევთავაზოთ სრულყოფილი მთარგმნელობითი მომსახურება მსოფლიოს 60 ენაზე. ეს შეთავაზება იყოს საშუალო საბაზრო ფასთან შედარებით ნაკლები ფასის და ექსკლუზიური, გამოყენებული ტექნოლოგიებისა და მასშტაბის ეფექტის წყალობით.

წინამდებარე სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ინფორმაცია დაგეხმარებათ დადოთ ყველაზე მომგებიანი გარიგება მთარგმნელობითი მომსახურების შესყიდვაზე, მიუხედავად იმისა თუ რომელ ორგანიზაციასთან ან/და კერძო პირთანაც არ უნდა თანამშრომლობდეთ.

ჩვენი წინა, 2016 წლის გამოცემა 6 პუნქტისაგან შედგებოდა - „6 პუნქტიანი სახელმძღვანელო მთარგმნელობითი მომსახურების შეკვეთაზე“, 2021 წლის გამოცემა კი, დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე, უკვე 7 პუნქტიანი გახდა.

ვიმედოვნებთ, წარმოდგენილი ინფორმაცია გამოგადგებათ და მოხარული ვიქნები, თუ თქვენს შეფასებებსა და მოსაზრებებს გაგვიზიარებთ.

დელტას მთარგმნელობითი ჯგუფის მენეჯმენტის სახელით გვინდა მადლობა გადავუხადოთ ჩვენს ერთგულ მომხმარებლებს და თანამშრომლებს, რომლებმაც წვლილი შეიტანეს დელტას მთარგმნელობითი ჯგუფის წარმატებებში. მომავალ წლებში ვგეგმავთ სტაბილურ ზრდასა და განვითარებას, რისთვისაც არ დავიშურებთ ძალისხმევას.

დელტას მთარგმნელობითი ჯგუფი

კომპანია “დელტა დეველოპმენტ გრუპი”

 Pr@delta-group.ge

2021 წლის მარტი

 (+995)558 902 872

 www.delta-group.ge

www.jword.ge

 info@delta-group.ge



Linked

[/Delta Translation Group](#)

1. კერძო პირი თუ კომპანია ?

კერძო თარჯიმანი თქვენთვის კარგი არჩევანია თუ ამ უკანასკნელს და მის პროფესიონალიზმს კარგად იცნობთ და მისი დარგობრივი სპეციალიზაცია (იურიდიული, სამედიცინო, ტექნიკური, საინჟინრო, მხატვრული) თქვენი დოკუმენტაციის შინაარსის შესაბამისია. ხშირად იმის გარკვევა თუ რომელი სპეციალიზაციისა თქვენი დოკუმენტაცია გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული. შესაძლოა თქვენი და თქვენთვის ნაცნობი თარჯიმნის მოსაზრებები ერთმანეთს არ დაემთხვეს, დაკარგოთ დამატებითი დრო კერძო თარჯიმნებთან კომუნიკაციისას. ასევე გასათვალისწინებელია ტექნიკური თავისებურებები: **თუ დოკუმენტი მოცულობითია, მაშინ უმჯობესია იგი მთარგმნელობითმა ორგანიზაციამ თარგმნოს**, სადაც გარდა უშუალოდ ენის სპეციალისტისა თარგმანს რედაქტორიც ამოწმებს, უზრუნველყოფს სტილისა და ტერმინების ერთიანობას.

ამასთან, გასათვალისწინებელია დოკუმენტაციის ფორმატი. საინჟინრო დოკუმენტაციის პაკეტის შემთხვევაში, რომელიც სხვადასხვა ტიპის დოკუმენტებს აერთიანებს (ნახაზები, ცხრილები, რენდერები და ა.შ.) ერთი პირის მიერ სრულყოფილი თარგმანის შესრულება ძალიან იშვიათი ან თითქმის შეუძლებელია. ტერმინთა ერთიანობის დაცვა კი შესაძლოა გადაუჭრელ ამოცანად დარჩეს. მთარგმნელობითი ორგანიზაციის შემთხვევაში, სადაც სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტები მუშაობენ და უზრუნველყოფილია ხარისხის კონტროლის სისტემა, აღნიშნული რისკებისაგან მაქსიმალურად გაზღვევთ.

ასევე მნიშვნელოვანია მთარგმნელობით ორგანიზაციასთან თანამშრომლობამ სრულყოფილი მომსახურება შემოგთავაზოთ, როგორც ერთიანი ტერმინების, ასევე ენების მრავალფეროვნების მხრივ. აღნიშნული მომსახურება კი კონკურენტულ ფასად მიიღოთ.

როგორ უზრუნველყოფენ წარმატებული მთარგმნელობითი ორგანიზაციები ტერმინების ერთიანობას, სისწორეს და უკეთეს ხარისხს ?

ყოველ ორგანიზაციას საკუთარი პოლიტიკა გააჩნია თანამშრომლების შერჩევისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით. დღესდღეობით ჩვენი უმაღლესი განათლების სისტემა არ იძლევა თარგმნის მიმართულებით სპეციალისტების მომზადების ისეთ პროდუქტს, რომ ისინი მზად იყვნენ მთარგმნელობით ორგანიზაციაში მუშაობისათვის. კერძოდ, უნივერსიტეტდამთავრებულები არ ფლობენ როგორც თარგმანის თანამედროვე ტექნოლოგიურ მხარეებს, ასევე დარგობრივი სპეციალიზაცია საკმაოდ სუსტია. ამ პრობლემის დაძლევისათვის დელტას მთარგმნელობით ჯგუფში ყოველი ახალი თანამშრომელი გადის ტრენინგებისა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების შემდეგ კურსებს:

- SDL Trados-ის კურსი წერილობითი თარგმანებისათვის (CAT სისტემებით მუშაობის პრაქტიკა)
- იურიდიული ტერმინოლოგია და თარგმანი
- ტექნიკური ტერმინოლოგია და თარგმანი
- სამედიცინო ტერმინოლოგია და თარგმანი
- ქართული ენის სტილისტიკისა და ლექსიკოგრაფიის საფუძვლები მთარგმნელებისათვის
- Archicad, Photoshop, Corel DRAW- ტექნიკური დოკუმენტაციის თარგმნებისათვის
- ზეპირი თარგმნის მეთოდოლოგიის კურსი თარგმნებისათვის

უკვე გამოცდილი თანამშრომლები, რომლებიც ენის სპეციალისტის პოზიციიდან რედაქტორის პოზიციაზე დაწინაურდნენ, ცოდნის უწყვეტ გადაცემას უზრუნველყოფენ. ასევე, წლების მანძილზე მათი მოვალეობა დადგენილი სწორი ტერმინების ელექტრონული საცავის მუდმივი განახლება და თარგმნის პროცესში მისი გამოყენების უზრუნველყოფაა.

როგორ ახერხებენ წარმატებული მთარგმნელობითი ორგანიზაციები კონკურენტული ფასების შემოთავაზებას კერძო პირებთან შედარებით ?

დაგროვილი გამოცდილებით, შეგვიძლია გითხრათ რომ სათარგმნი დოკუმენტაციის მინიმუმ 30 % მეორდება წინა წლებში შესრულებული თარგმანებიდან სეგმენტის, წინადადების ან ფრაზების დონეზე. შესაბამისად, მთარგმნელობითი მეხსიერებების ელექტრონული ბაზები საშუალებას გვაძლევს აღნიშნული ფასდაკლება შემოგთავაზოთ. ასევე, ყურადსაღებია მეორე ფაქტორი ნებისმიერ დოკუმენტში არსებობს ე.წ. დოკუმენტს შიგა გამეორებები (სრული ან ნაწილობრივი გამეორებები), აღნიშნულიც ჩვენი დამკვეთების დანაზოგია.

მაშასადამე, ტექნოლოგიები და მთარგმნელობითი მეხსიერებების სწორი მენეჯმენტი საშუალებას გვაძლევს საკმაოდ კონკურენტული ფასები შემოგთავაზოთ. ცხადია, აღნიშნული გამორიცხავს იმ შემთხვევებს, როცა რომელიმე მთარგმნელობითი ორგანიზაცია საექვოდ დაბალ ფასს გთავაზობთ.

წლებთან ერთად, იზრდება მთარგმნელობითი მეხსიერების მოცულობა, შესაბამისად ჩვენც გვაქვს შესაძლებლობა, თანამშრომლობის წლების ზრდასთან ერთად, უფრო მეტი ფასდაკლება შემოგთავაზოთ.

2. ყველა თარგმანი ერთი და იგივე როდია

გამოცდილი და წარმატებული მთარგმნელობითი ორგანიზაციები უკეთესად თარგმნიან. ეს მარტივი პრინციპი ხარისხის ძირითად ფაქტორს ხსნის.

ეს აშკარა ფაქტი, ხშირად ყურადღების მიღმა რჩება – უამრავ ადამიანს მიაჩნია, რომ ერთი ენიდან მეორეზე თარგმანი ყოველთვის ერთი და იგივეა, იმის მიუხედავად თუ ვინ შეასრულა ეს სამუშაო. მათი ვარაუდით, *ა* და *ბ* მთარგმნელები ერთსა და იმავე დოკუმენტს ზუსტად ერთნაირად გადათარგმნიან. *მათ ნამუშევრებს შორის ერთადერთი სხვაობა ფასში იქნება.*

სინამდვილეში, საბოლოო პროდუქტის ხარისხი დამოკიდებულია არა მარტო მთარგმნელის ენობრივ უნარებზე, არამედ იმაზეც, *თუ რამდენად ერკვევა იგი სათარგმნ მასალაში წარმოდგენილ საკითხებში და თარგმნის რამხელა გამოცდილება აქვს.*

იმისათვის, რომ მთარგმნელმა კარგად თარგმნოს, უბრალოდ სიტყვასიტყვით კი არ უნდა გაიმეოროს ორიგინალში ნათქვამი, *არამედ ძირეულად უნდა გაითავისოს დოკუმენტი*. მთარგმნელობითი მომსახურება უნიკალურია იმ გაგებით, რომ კლიენტებს, როგორც წესი, ნაკლებად გაეგებათ შეძენილი მომსახურების შესახებ, სხვაგვარად ხომ არც დასჭირდებოდათ ამ მომსახურებით სარგებლობა! ან *მათ უბრალოდ დროთი შეზღუდვა აქვთ და მთარგმნელობით მომსახურებას სხვას უკვეთავენ*.

თქვენ მიერ *შერჩეულმა მთარგმნელობითმა ორგანიზაციამ შეკვეთა უნდა გადასცეს თავის ისეთ თანამშრომელს და მოგვიანებით რედაქტორს, რომელსაც აქვს არამარტო შესაფერისი ენობრივი უნარები, არამედ ცოდნაც და გამოცდილებაც გააჩნია მოცემულ საკითხში*.

მაშასადამე, როგორ უნდა მიხვდეთ, რომ საქმე შესაფერის მთარგმნელს მიანდეთ? ამისათვის მზა ფორმულა არ არსებობს, თუმცა არის რამდენიმე, ზოგადი რჩევა, რასაც ყურადღება უნდა მიაქციოთ:



☎ (+995) 558 902 872

🌐 www.delta-group.ge

www.iward.ge

@ info@delta-group.ge



LinkedIn

/Delta Translation Group

2.1 ოფიციალური კვალიფიკაცია

ჩვეულებრივ, მთარგმნელებს, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლების დაწესებულების მიერ გაცემული დიპლომი თარგმნაში ან ხარისხი უცხო ენებში, რომლის ფარგლებშიც დიდი ყურადღება ეთმობა მთარგმნელობით კომპონენტებს, უკეთესი შედეგები ექნებათ, ვიდრე მათ, ვისაც აღნიშნულ კვალიფიკაციათაგან არც ერთი არ გააჩნია.

2.2 გამოცდილება

შეუძლებელია სიტყვით გამოვხატოთ გამოცდილების მნიშვნელობა. წლების გამოცდილებას ვერაფერი შეცვლის. თითოეულ მთარგმნელობით სააგენტოში

განსაზღვრული პოლიტიკა მოქმედებს მთარგმნელთა გამოცდილების კუთხით და ამის შესახებ თქვენც უნდა გაცნობონ.

მაგალითად, *დელტას მთარგმნელობითი ჯგუფში, სტანდარტულ ბიზნეს და საქმიანი დოკუმენტაციის თარგმანებს ამზადებენ მთარგმნელები, რომლებსაც მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება აქვთ.* ეს კი უმაღლესი ხარისხის გარანტიაა. ამასთან, დელტას მთარგმნელობითი ჯგუფის დარგობრივი სპეციალიზაციის მიდგომა გულისხმობს კონკრეტული მიმართულების მთარგმნელის მიერ ე.წ. პროფესიული ლიტერატურის აუცილებელი მინიმუმის გაანალიზებას (იურიდიული ლიტერატურა, ტექნიკური ლიტერატურა, სამედიცინო ლიტერატურა). ეს მიდგომა, აღნიშნული კონკრეტული მიმართულების ენის სპეციალისტს, ამ დარგის ძირითადი ცოდნით და ცნებებით აზროვნებას აჩვენებს.

ყოველთვიურად უამრავ აპლიკაციას ვიღებთ ადამიანებისგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მთარგმნელები არიან. თუმცა, რეალურად გულისხმობენ იმას, რომ საუბრობენ უცხო ენას და თავისუფალ დროს ცოტაოდენი სახარჯო ფულის შოვნას ცდილობენ. ჩვენ მათ არ ვასაქმებთ, მაგრამ ვიღაცამ უნდა დაასაქმოს. *შესაბამისად, ხშირად შეხვედებით არარეალისტურად დაბალ ფასად მთარგმნელობითი მომსახურების გაწევის მომსახურებას. ასეთ შემთხვევაში კი უკვე შესრულებული სამუშაოს გამოსწორების ხარჯები გაცილებით მეტია, ვიდრე ეს თავდაპირველად შესაბამისი ფასის გადახდის შემთხვევაში იქნებოდა.* შედეგები უფრო ცხადი იქნება თუ ამ ყველაფერს დავუმატებთ ბიზნესისათვის ყველაზე ძვირფას რესურსს – დროს.

2.3 მშობლიური ენა

როგორც წესი, მთარგმნელები უკეთესად თარგმნიან მშობლიურ ენაზე. თუ მთარგმნელობით კომპანიას მოსთხოვთ ისეთ მთარგმნელს, რომლისთვისაც თქვენთვის საჭირო ენა მშობლიურია, მკვეთრად გაიზრდება კარგი თარგმანის მიღების შანსი.

რომ შევაჯამოთ, ვერავინ შეედრება გამოცდილ მთარგმნელებს, რომლებიც მშობლიურ ენაზე თარგმნიან. ინტერნეტის წყალობით თარგმნის ინდუსტრიის გაფართოების შედეგად, იღებთ იმას, რაშიც იხდით ფულს.

ხშირად დამკვეთმა არ იცის საბოლოოდ სჭირდება თუ არა დოკუმენტის მთლიანი თარგმანი. ვფიქრობთ, ქვემოთ მოცემული ამ არჩევანის სირთულეს გაგიმარტივებთ:

გთავაზობთ განსხვავებულ მოთხოვნებსა და ბიუჯეტზე მორგებულ თარგმანის სამ სხვადასხვა ვარიანტს.

ზუსტი თარგმანი: ორიგინალის ტექსტის კონტექსტური აზრის ზუსტი აღდგენა თარგმანის ენის გრამატიკულ სტრუქტურების ფარგლებში. ჩვეულებრივ თარგმნის ამ მეთოდით შესრულებული სამუშაო დანარჩენ ორთან შედარებით მაღალი ფასით გამოირჩევა.

აზრობრივი თარგმანი: ის განსხვავდება „ზუსტი თარგმანისგან“ მხოლოდ იმით, რომ ამ თარგმანის დროს უფრო უნდა იყოს გათვალისწინებული ორიგინალის ენის ტექსტის ძირითადი შინაარსი და ნაკლებად ხდება დედნის ზუსტი მიყოლა. ამ მეთოდით შესრულებული სამუშაო „ზუსტი თარგმანისგან“ ფასთან შედარებით, ჩვეულებრივ, 10-15%-ით დაბალია.

თავისუფალი თარგმანი: თარგმნის ეს მეთოდი გადმოსცემს ტექსტს თარგმანის ენაზე ორიგინალის სტილის, ფორმისა და შინაარსის დაუცველად, ძირითადად ატარებს ტექსტის ადაპტაციის ხასიათს. ამ მეთოდით შესრულებული სამუშაო „ზუსტი თარგმანისგან“ ფასთან შედარებით, ჩვეულებრივ, 15-25%-ით დაბალია.

შესაბამისად, დამკვეთმა საკუთარი მიზნებიდან და ბიუჯეტიდან გამომდინარე სამი მეთოდიდან ერთ-ერთი უნდა შეარჩიოს და ამით ხელი შეუწყოს საკუთარი ფინანსების უკეთეს მენეჯმენტს, **მთარგმნელობითი მომსახურების მიღებას დანაკარგების გარეშე.**




3. ხარისხივ ისევე განსხვავდება, როგორც ფასები

ჩვენ მიერ ჩატარებულმა ბოლოდროინდელმა კვლევამ აჩვენა, რომ მთარგმნელობითი კომპანიების მიერ ერთსა და იმავე პროდუქტზე

დაწესებული ფასები განსხვავებულია. მაგრამ ერთმანეთს მსგავსი საგნები უნდა შევადაროთ.

ზოგიერთი კომპანია კონკრეტულ დოკუმენტში სხვა კომპანიებზე ორჯერ უფრო მეტს ახდევინებს. ასეთ შემთხვევაში ფასი შესაძლოა იყოს ხარისხის ინდიკატორი, თუმცა არა საკმარისი პირობა. კომპანიის რეპუტაცია და უკვე არსებული დამკვეთებისგან შეფასების გამოთხოვა ნათელ წარმოდგენას შეგიქმნით ამა თუ იმ მთარგმნელობით კომპანიაში არსებულ ხარისხის მენეჯმენტზე.

როგორია დელტას მთარგმნელობით ჯგუფში საბოლოო პროდუქტის მიღების პროცესი ?




3.1 სიტყვათა რაოდენობა პირველად წყაროში

მთარგმნელობითი კომპანიების უმრავლესობა, ჩვენი ჩათვლით, ფასის დადებას ამჯობინებს თქვენთვის სასურველ სათარგმნ დოკუმენტში – ე.წ. *პირველად წყაროში - სიტყვების ან სიმბოლოების რაოდენობის საფუძველზე*.

ზოგიერთი კომპანია ფასს განსაზღვრავს იმის მიხედვით, თუ რამდენი სიტყვაა დასრულებულ, ნათარგმნ დოკუმენტში, რომელსაც ჩვეულებრივ სამიზნე დოკუმენტს უწოდებენ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ნათარგმნში სიტყვათა რაოდენობის მიხედვით ფულის გადახდევინება უსამართლობაა, რადგან თქვენ, როგორც მომხმარებელს სამუშაოს დასრულებამდე არ გეცოდინებათ რამდენს გადაგახდევინებენ.

დათვლის ობიექტურ მეთოდად ასევე შეგვიძლია მივიჩნიოთ სიმბოლოების რაოდენობის მიხედვით გვერდების დათვლა (1800, 2000, ან 3000 სიმბოლო, სივრცის ჩათვლით ან მის გარეშე). ბუნებრივია ეს საკითხი კონკრეტული კომპანიის გადასწყვეტია თუ როგორ მიდგომას იქონიებს თავისი მომხმარებლების მიმართ.



3.2 ბოლო ვადა

თუ მთარგმნელობით კომპანიას *რეალისტურ ვადას მისცემთ სათარგმნად, უფრო იაფად გამოხვალთ, ვიდრე, თუ საქმეს სიჩქარეში გააკეთებინებთ.*

რატომ? ენის ერთ სპეციალისტს დღეში, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე, 2000-დან 2500-მდე სიტყვის თარგმნა შეუძლია. თუ გაქვთ 10,000 სიტყვიანი დოკუმენტი და ერთი კვირის ვადა, სამუშაო შესრულება შესაძლოა მთლიანად ერთ ადამიანს დაევალოს.

თუ აღნიშნული დოკუმენტი მეორე დღის ბოლომდე გჭირდებათ, მაშინ კომპანიას მოუწევს სამუშაო რამდენიმე თანამშრომელს გაუნაწილოს და ბოლოს თითოეული მათგანის ნათარგმნი ერთ დოკუმენტად გააერთიანოს.

ასეთ დროს, რა საკვირველია, ტექნოლოგია გვეხმარება ტერმინები დავამთხვიოთ, მაგრამ კომპანიას მეტი შრომა უწევს, რადგან საჭიროა

რამდენიმე თანამშრომლის ჩართულობა. ეს ჩვეულებრივ დამატებით დროით დანახარჯს მოითხოვს.

თარგმნის კომპიუტერული საშუალებების გამოყენება ამცირებს თარგმნის დროს 20-30%-ით. ჩვენი პრაქტიკის პირობებში, თარგმნის კომპიუტერული საშუალების SDL TRADOS-ის გამოყენება ხდება მაშინ, როდესაც ერთიდაიგივე მომხმარებელი მომსახურებას ორჯერ და მეტად გვიკვეთავს, ამ შემთხვევაში გამოიყენება მხოლოდ „მთარგმნელობითი მეხსიერების“ პროგრამირებული სისტემა, რაც საშუალებას გვაძლევს, დამკვეთის ტექსტებში არსებული ტერმინების თარგმანი იყოს მსგავსი მის ყველა დოკუმენტაციაში. აღნიშნული მიდგომა, ასევე საშუალებას გვაძლევს ერთგულ მომხმარებლებს შევუმციროთ როგორც მომსახურების მიწოდების დრო, ასევე მომსახურების ფასი და სურვილის შემთხვევაში მივაწოდოთ მისი საქმიანობის სფეროს დამუშავებული ტერმინების გლოსარუმი.



3.3 ტექნიკური სირთულეები და დოკუმენტის ფორმატი

გაცილებით უფრო ადვილია, და შესაბამისად, უფრო სწრაფიც, ისეთი დოკუმენტის თარგმნა, რომელიც არ მოიცავს ტექნიკურ ელემენტებს, როგორცაა დიდი რაოდენობის დიაგრამა, ნახაზი თუ სხვა გრაფიკული ელემენტი.

ასევე, გაცილებით უფრო იოლია Word-ის ფაილით წარმოდგენილი დოკუმენტის თარგმნა, ვიდრე ძნელად წასაკითხი ხელნაწერი დოკუმენტების თარგმნა.

ზოგიერთი სააგენტო მაშინვე დამატებით ანაზღაურებას ითხოვს არასტანდარტული სამუშაოსთვის, ჩვენ კი ძალ-ღონეს არ ვიშურებთ, რომ დამატებითი გადასახადი თავიდან აგარიდოთ. უბრალოდ გამოგვიგზავნეთ დოკუმენტის ასლი და მიიღეთ თარგმანი კონკურენტულ ფასად.



3.4 ენათა წყვილები

სხვადასხვა ენათა წყვილს განსხვავებული ფასი აქვთ.

ეს მხოლოდ და მხოლოდ მოთხოვნიდან და მარაგიდან გამომდინარეობს. გაცილებით უფრო იაფია ინგლისური დოკუმენტის ქართულად თარგმნა, ვიდრე იაპონური დოკუმენტის თარგმნა ინგლისურად.

ასევე, უფრო ძვირია კორეული დოკუმენტის, დავუშვათ ჰოლანდიურად თარგმნა, რადგან ამ ენების მთარგმნელთა რიცხვი ბევრად უფრო მცირეა, ვიდრე სტანდარტულ ენათა მთარგმნელებისა.

რომ შევაჯამოთ, ზემოთ მოცემული ოთხი პარამეტრის გათვალისწინებით, ნებისმიერ კომპანიას უნდა შეეძლოს მისაღები მიახლოებითი ფასი გითხრათ.

გახსოვდეთ, აუცილებელია ერთმანეთს მსგავსი საგნები შეადაროთ.

ფასში შედის თუ არა, მაგალითად, რედაქტირება ?

ფული არც ისეთ მაღალ ხარისხზე უნდა გაფლანგოთ, როგორც არ გჭირდებათ.

მაგალითად, ჩვენ გთავაზობთ: ა) შიდა გამოყენების დოკუმენტაციის თარგმანის, ბ) ფართო გამოყენების დოკუმენტაციის თარგმანისა და გ) შემოკლებული, აზრობრივი თარგმანის პაკეტებს.



4. მთარგმნელი და თარჯიმანი სხვადასხვა ხილია

ბევრი ადამიანი მოგვმართავს მთარგმნელის მოთხოვნით, რეალურად კი თარჯიმანი სჭირდებათ.

მათ შორის სხვაობა ყველაზე კარგად შეგიძლიათ ასე დაიმახსოვროთ: მთარგმნელები მუშაობენ წერილობით, თარჯიმნები კი ზეპირად.

მთარგმნელები თარგმნიან დოკუმენტებს, ვებ-გვერდებს, იმეილებს და სხვა სახის მიმოწერას და დოკუმენტაციას.

თარჯიმნები სხვებთან ერთად მუშაობენ, ან პირისპირ, ან ვირტუალურად ტელეფონზე ან ინტერნეტში.

სხვა კომპანიების მსგავსად, ჩვენ გთავაზობთ როგორც მთარგმნელის, ისე თარჯიმნის მომსახურებას.



5. ცუდი წყარო ცუდი შედეგი

ეს გამონათქვამი, რომელიც კომპიუტერში სწორი მონაცემების შეყვანის აუცილებლობას უსვამს ხაზს, თანაბრად ერგება თარგმნის ინდუსტრიასაც.

თუ სათარგმნად გამოგვიგზავნით ცუდად აგებულ დოკუმენტს, რომლის აზრიც სრულიად გაუგებარია, რა საკვირველია, ბრწყინვალე თარგმანს ვერ მიიღებთ.

კომპანიათა უმრავლესობა, ჩვენი ჩათვლით, მომხმარებელს განუმარტავს, რომ თავად ორიგინალი დაბალი ხარისხისაა და შეეცდებიან, გაარკვიონ, რის თქმა სურდა ავტორს. თუმცა, არის შემთხვევები, როცა უბრალოდ შეუძლებელია 100%-ით დარწმუნებული იყო.

ჩვენი პოლიტიკა შემდეგია: ხაზს ვუსვამთ დოკუმენტის იმ ნაწილებს, რომლებიც კლიენტმა უნდა დააზუსტოს, მაგრამ დღის ბოლოს, როგორც

დალაქი ეტყოდა გამელოტებულ კაცს: “ბატონო ჩემო, ამ შეზღუდულ პირობებში რაც შემიძლია ყველაფერს გავაკეთებ”.

მოკლედ, მაღალი ხარისხის თარგმანის მისაღებად, დარწმუნდით, რომ ორიგინალიც მაღალი ხარისხისაა. თუ ეჭვი გეპარებათ, სიხარულით გადავხედავთ დოკუმენტს და ჩვენს მოსაზრებას უსასყიდლოდ გაგიზიარებთ.



6. მანქანაზე შესრულებულ თარგმანს თავისი ადგილი აქვს

მანქანის მიერ ნათარგმნი ადამიანის ნათარგმნს ვერ შეედრება ვერც ახლა და ალბათ ვერც მომავალში.

თუმცა, ადამიანის მიერ ნათარგმნის უპირატესობა არ ნიშნავს იმას, რომ მანქანას თარგმანში ვერ ან არ უნდა ვიყენებდეთ.

წარმოიდგინეთ, რომ გამოგზავნეთ ას გვერდიანი დოკუმენტი, რომელიც დღესვე უნდა ითარგმნოს ქართულიდან გერმანულად. დავუშვათ გვერდზე ეტევა 1800 სიმბოლო, ამ მოცულობის სამუშაოს შესრულებისათვის მხოლოდ ერთ მთარგმნელს 1 თვემდე დაჭირდება. სამუშაო ადამიანთა ჯგუფს უნდა დაუნაწილოთ, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ყველგან ერთი ენობრივი

კონსტრუქცია და ტერმინები იყოს ნახმარი. ტერმინთა ერთიანობისათვის უკვე აუცილებელი ხდება თარგმნის კომპიუტერული მეხსიერების გამოყენება, რათა რამდენიმე მთარგმნელმა ერთობლივად თარგმნოს თანაც ისე, რომ დაინახონ ერთმანეთის მიერ ამა თუ იმ კონკრეტული ტერმინის თარგმანი. კომპიუტერული პროგრამა SDL TRADOS-ი ამის საშუალებას იძლევა, საერთო სერვერზე გაზიარებული ფაილების სისტემით.

ეს კონკრეტული მაგალითი თარგმნის პროგრამის გამოყენების ერთი მაგალითია, თუმცა არსებობს მთლიანად პროგრამულად გაკეთებული თარგმანიც. ინტერნეტში უამრავი მთარგმნელობითი წყარო არსებობს.

ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს Google:

<http://translate.google.com/>



მთლიანად, ავტომატური სისტემით შესრულებული თარგმანი შესაძლოა არასრული ან ძალიან დაბალი ხარისხის იყოს, ხოლო სფეროებში, როგორცაა სამედიცინო, სამართლის, სამხედრო და სხვა, სადაც სიზუსტე გადამწყვეტია, ხარისხი შესაძლოა სახიფათოდ დაბალიც კი იყოს. განსაკუთრებით აქტუალური ეს საკითხი, ქართული ენის შემთხვევაშია, რომლის პროგრამული დამუშავება სხვა დიდ ენებთან შედარებით ნაკლებია და შესაბამისად მანქანური თარგმანიც მნიშვნელოვანად დაბალი ხარისხის, რაც მის გამოყენებას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის.

ზოგიერთი კლიენტი ითხოვს ვრცელი დოკუმენტების მანქანით შესრულებულ თარგმანს, რათა განსაზღვრონ, რომელი ნაწილია მათთვის მნიშვნელოვანი, სანამ თქვენთვის საჭირო გვერდების სტანდარტულ თარგმანს შეუკვეთავენ.

რომ შევაჯამოთ, მანქანით შესრულებული თარგმანი არ არის ძალიან მაღალი დონის, მაგრამ ხშირად საკმაოდ კარგია და გაცილებით უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ადამიანის მიერ შესრულებული თარგმანი.

ზოგჯერ მანქანით შესრულებული თარგმანი ერთადერთი გამოსავალია, თუ სისწრაფე არსებითია.

ძირითადი პროგრამები, რომლების უზრუნველყოფენ თარგმანის პროცესის ავტომატიზაციას არის შემდეგი:

- ელექტრონული ლექსიკონები (Abby Lingvo, მულტიპლექსი და სხვა);
- მთარგმნელების დახმარების სისტემები Computer Assisted Translation Tools (CAT-საშუალებები) ან სისტემები Translation Memory (TM)
- მანქანური თარგმანის პროგრამები (PROMT, Socrat და სხვა).

ამის გარდა არსებობს სპეციალიზებული პროგრამები გლოსარუმების (ლექსიკონების) შესაქმნელად და შესავსებად.

მთარგმნელობითი კომპანიები, როგორც წესი, იყენებენ პროგრამების პირველ ორ ტიპს.



6.1 CAT-საშუალებების მუშაობის პრინციპი

დოკუმენტის ორიგინალი, რომელიც გამოაგზავნა დამკვეთმა პროგრამული საშუალებების მეშვეობით იშლება სეგმენტებად. (სეგმენტი – ორიგინალური ტექსტის ლოგიკური ფრაგმენტი, რომელიც უფრო ხშირად არის წინადადების

ტოლი ან ნაკლები). ამის შემდეგ ყოველი ნათარგმნი სეგმენტი ანალიზდება თარგმანების მეხსიერებასთან დამთხვევების მოსაძიებლად (TM – **Translation Memory**, ნათარგმნი სეგმენტების მონაცემთა ბაზა, **თარგმნითი მეხსიერება**), და დამთხვევების გარკვეული პროცენტის პოვნის შემთხვევაში, ვიღებთ თარგმანის ვარიანტებს. თავის მხრიდან, მთარგმნელი ადასტურებს შემოთავაზებულ ვარიანტს, აკორექტირებს მას საკუთარი შეხედულებისამებრ, ან სრულად თარგმნის უნიკალურ სეგმენტს.

ზემოაღწერილი სქემიდან ჩანს, რომ თარგმანის ვარიანტის მიღების გადაწყვეტილება სრულიად ეკისრება მთარგმნელს – *ეს არის ძირითადი განსხვავება CAT-საშუალებებსა და მანქანურ თარგმანს შორის, სადაც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მანქანა (პროგრამული უზრუნველყოფა).*

6.2 CAT-საშუალებების გამოყენებით თარგმანის უპირატესობები

ზემოთთქმულიდან გამომდინარე, შევაჯამოთ, თუ რა უპირატესობებს უზრუნველყოფს CAT-საშუალებების გამოყენება:

1. უზრუნველყოფს თარგმანის ერთგვაროვნებას, თავდაპირველად არჩეული ტერმინების სინქრონიზაციას მთელ ტექსტში, რაც დადებითად აისახება თარგმნის ხარისხზე;
2. აჩქარებს თარგმანზე მუშაობის ტემპს იმის ხარჯზე, რომ გვაქვს საშუალება ორჯერ არ ვთარგმნოთ ტექსტში ერთნაირი ფრაგმენტები. შედეგად, მცირდება თარგმანისთვის საჭირო ვადები;
3. დამკვეთის ცვლილებები, დამატებები და შენიშვნები შეიძლება ადვილად შევიტანოთ თარგმანების მთელ ბაზაში, რაც გვაძლევს საშუალებას, რომ წამიერად შევასწოროთ უზუსტობები უკვე ნათარგმნი სეგმენტებში და თავი ავარიდოთ სხვა დროს მსგავსი შეცდომების დაშვებას.
4. იმ შემთხვევაში, თუ საწყისი დოკუმენტი მოწოდებულია ერთერთ ქვემოთ მოყვანილ ფორმატში, მაშინ თარგმანი ხორციელდება დოკუმენტის

სტრუქტურის დაუმლეღად. ფაქტიურად საჭირო იქნება მხოლოდ ჩავასწოროთ ტექსტური ფრაგმენტები, იმისთვის, რომ მოვაშოროთ მოცულობაში შეუსაბამობები ორიგინალის ტექსტსა და თარგმანის შორის.

5. **CAT-საშუალებები გვაძლევენ საშუალებას შევამციროთ თარგმანის საერთო ღირებულება დამკვეთისთვის.** თარგმანის ჩვეულებრივ გათვლების განსხვავებით, თარგმანი CAT-საშუალებების გამოყენებით **ტარიფდება** სიტყვების რაოდენობის მიხედვით შემდეგი პარამეტრების გთვალისწინებით:

- ერთნაირი (განმეორებადი) სეგმენტების რაოდენობა;
- სეგმენტების რაოდენობა, რომლებიც ემთხვევა თარგმანების მეხსიერებას პროცენტულ თანაფარდობაში;

ელექტრონული დოკუმენტების ფორმატების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება ჩაეშვას CAT-სისტემებში

- Microsoft Word (.doc);
- Microsoft Excel (.xls);
- Microsoft PowerPoint (.ppt);
- დოკუმენტები QuarkXPress;
- დოკუმენტები Adobe InDesign;
- დოკუმენტები Adobe Framemaker;
- დოკუმენტები Adobe Pagemaker;
- HTML-გვერდები (.html, .htm);
- მონაცემთა ფაილი MS Windows (.chm);
- გაფართოებადი მონიშვნის ენა (.xml).



7. საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებსაც მთარგმნელობითი ორგანიზაციები უნდა აკმაყოფილებდნენ

ჩვეულებრივ, უცხო ენაზე თარგმანი დამკვეთებს უცხოენოვან აუდიტორიასთან კომუნიკაციის დამყარებისათვის სჭირდებათ. მაშასადამე ლოგიკურია, რომ მთარგმნელობით ორგანიზაციას, რომელთანაც თანამშრომლობას აპირებთ ქონდეს გამოცდილება უცხოენოვანი ქვეყნების რეზიდენტ კომპანიებთან თანამშრომლობის. ამ თანამშრომლობის წარმატების ხარისხის შეფასებისათვის კი შეგიძლიათ მთარგმნელობით ორგანიზაციას აღნიშნული ორგანიზაციების დადებითი სარეკომენდაციო წერილები მოთხოვოთ. დადებითი სარეკომენდაციო წერილი კი ის ლაკმუსის ქაღალდია, რომელსაც მხოლოდ კმაყოფილი კლიენტი თუ გასცემს. რეკომენდაციების წერილები კი განსაკუთრებით საიმედო იმ შემთხვევაშია თუ ეს უკანასკნელი გაცემულია მაღალი რეპუტაციის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება და ა.შ.).

ასევე, კარგი სტრატეგიაა მთარგმნელობით ორგანიზაციას რეკომენდაციები იმ დარგის ორგანიზაციებიდან მოთხოვით, რომელ დარგსაც თქვენი სათარგმნი დოკუმენტაცია განეკუთვნება. მაგ. რესპექტაბელური სამედიცინო ორგანიზაციებიდან, იურიდიული და სამართლის ორგანიზაციებიდან და ა.შ.



ბოლოსიტყვა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები

იმედს ვიტოვებთ, რომ მოცემული პუბლიკაციის წაკითხვით სასარგებლო ინფორმაცია მიიღეთ მთარგმნელობითი მომსახურების თავისებურებების შესახებ. თუ მოცემული ინფორმაცია თქვენთვის სასურველი მომსახურების შეკვეთაში დაგეხმარებათ, ჩვენს მიზანს მიღწეულად ჩავთვლით.

თავად მთარგმნელობითი საქმე კომერციული აქტივობების ასპარეზიცა და ამავე დროს დიდ დახელოვნებასაც მოითხოვს. მუდმივად ცვალებადი ლინგვისტური გარემო, კი თავად მთარგმნელს მუდმივი განახლების ამოცანას უსახავს. ამ გამოწვევების წარმატებით გადაჭრა კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებასა და ბიზნესის ეფექტიან მენეჯმენტში დევს.

“თარგმნა დანაკარგების გარეშე - შვიდ პუნქტიანი სახელმძღვანელო მთარგმნელობითი მომსახურების შეკვეთაზე” ჩვენი მომხმარებლებისათვის შეიქმნა. ამ გზით უფრო მეტი გეცოდინებათ ჩვენი მიდგომების, გამოცდილებისა და პერსპექტივების შესახებ.

ველით თქვენს გამოხმაურებებს და მოსაზრებებს, იმედია უმოკლეს დროში შედგება ჩვენი საქმიანი ურთიერთობა და ჩვენ შევძლებთ თქვენთვის ღირებული მომსახურების შეთავაზებას.

კომპანია “დელტა დეველოპმენტ გრუპი”

✉ info@delta-group.ge

☎ (+995) 558 902 872

🌐 www.delta-group.ge
www.iward.ge

@ info@delta-group.ge



LinkedIn /Delta Translation Group

დელტას მთარგმნელობითი ჯგუფის ფასეულობები:

- სრულყოფილი მთარგმნელობითი მომსახურება და თითოეული კლიენტისადმი ლოიალური დამოკიდებულება;
- მომხმარებელზე მორგებული თანამედროვე და ინოვაციური მომსახურების პაკეტები;
- პროფესიონალი კადრები, კვალიფიკაციის უწყვეტი ამაღლება, ცოდნისა და გამოცდილების გავრცელება.

